ხელშეკრულება №07-04/23 გ.შ
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 16 ივნისი 2017 წელი

შემსყიდველი: სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, წარმოდგენილი დირექტორის თეიმურაზ კახიძის სახით
მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის 70/72
საკონტაქტო ტელეფონები: (0422) 24 78 82; 599 27 87 94
საბანკო რეკვიზიტები: აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სახაზინო სამსახური: ს.ს. ,,თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიში: GE62TB7901736010100015
საიდენტიფიკაციო კოდი: 245632427

მიმწოდებელი: შპს ,,თეგეტა მოტორსი", წარმოდგენილი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის მინდობილი პირის, ბათუმის ფილიალის დირექტორის პაატა დუმბაძის (მინდობილობა: #0653/ა, გაცემული: 10.05.2017 წელს) სახით
მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ. N5
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE80TB0600000024467853
საიდენტიფიკაციო კოდი: 202177205

ერთის მხრივ, სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო (შემდგომში ,,შემსყიდველი"), ხოლო მეორეს მხრივ, შპს ,,თეგეტა მოტორსი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ,,მიმწოდებელი" თანახმაა მიაწოდოს ,,შემსყიდველს" სხვადასხვა ზოგადი და სპეციალური დანიშნულების მანქანა-დანადგარები; სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები (ავტოსატრანსპორტო საშუალება: ჰუნდაი ელანტრა, სახ. ნომრით: KSK617), კლასიფიკატორის (CPV) კოდები: 42900000 და 50100000; კლასიფიკატორის დანაყოფები: 42913500 და 50112200, ,,შემდგომში მომსახურება", ხოლო ,,შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას მიიღოს დაკვეთილი მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
1.2 შესყიდვის ობიექტის დასახელება, ერთეულის ფასი, საერთო ფასი, მიწოდების ვადები და ადგილი განისაზღვრება ფორმა N3-ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. მომსახურების მიწოდების პირობები.

2.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2017 წლის 23 ივნისის ჩათვლით.

3. გარანტია

3.1 ,,მიმწოდებელი"იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი და გაწეული მომსახურება იქნება ხარისხიანი და რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
3.2 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია წუნდებული საქონლის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 3 (სამი) დღის ვადაში განახორციელოს დაწუნებული საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

4. შესყიდვის ობიექტის ღირებულება, ანგარიშსწორების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 75 (სამოცდათხუთმეტი) ლარს. ხელშეკრულების თანხა ითვალისწინებს როგორც მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ასევე საქართველოს კანონმდებლობით მიმწოდებლისთვის დადგენილ ყველა გადასახადს.
4.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულება დაიფარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან.
4.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადების შემსყიდველისათვის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს შესრულებული მომსახურება ხელშეკრულების პირობების მიმართებაში.
5.2 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლისა და ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად.
5.3 იმ შემთხვევში, თუ გაწეული მომსახურება/მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სათანადოდ უფლებამოსილი პირები მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებენ შესყიდვის ობიექტის მიღებას, ხოლო თუ მომსახურების პროცესში გამოვლინდება, რომ იგი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს შესყიდვის ობიექტი და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა 3 (სამი) დღის ვადაში მიმწოდებლის ხარჯით.
5.4 თუ მიმწოდებელი 5.3. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში არ უზრუნველყოფს ხარვეზის აღმოფხვრას და მომსახურების სრულყოფილად შესრულებას, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების 9.3 პუნქტის შესაბამისად.
5.5 მომსახურება/საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
6.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:
6.2.1 ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება, ასევე მომსახურების ხარისხის პერიოდული კონტროლი.
6.2.2 მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნის აღმოფხვრა, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.
6.3 შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.
6.4 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

7. ხელშეკრულებაში პირობების გადასინჯვა. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულების ცვლილებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით გაფორმებული შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
7.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით

გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევებშიც ხელშეკრულების საერთო ღირებულება შიეძლება გაიზარდოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10% ის ფარგლებში.
7.3 თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.
7.4 წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8. უფლებების გადაცემა

8.1 „მიმწოდებელმა" „შემსყიდველს" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.
9.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში „მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტის ოდენობით (შესაბამისი თანხის ჩვენებით), რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდის გზით (შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში).

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადოს მომსახურება. „შემსყიდველმა" წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს „მიმწოდებელს", ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.
10.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს სამეურნეო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ჯემალ ხიმშიაშვილი, რომელიც არ იმყოფება მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში.
10.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
10.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით

პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

13. გამოყენებული სამართალი

13.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. ხელშეკრულების ენა

14.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2017 წლის 31 ივლისის ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

16. გადასახადები და ბაჟები

16.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.
ხელშეკრულება შედგენილია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

„მიმწოდებელი":
შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი"

ბათუმის ფილიალის დირექტორი
პაატა დუმბაძე

„შემსყიდველი":
სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
დასაქმების სააგენტო

დირექტორი
თეიმურაზ კახიძე

ინფორმაცია ფასებისა და მომსახურების შესახებ ფორმა 3

№	საქონლის აღწერილობა	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)	მიწოდების ადგილი; მიწოდების ვადა
1	ფილტრი სალონის	ცალი	1	20	20	ქ. ბათუმი, აეროპორტის გზტკ. 263 ბ. ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2017 წლის 23 ივნისის ჩათვლით
2	ფილტრი ჰაერის			25	25	
3	ავტოტექმომსახურება			30	30	
სულ					75	

„მიმწოდებელი“:
შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი“

ბათუმის ფილიალის დირექტორი
პაატა დუმბაძე

„შემსყიდველი“:
სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
დასაქმების სააგენტო

დირექტორი
თეიმურაზ კახიძე